

საიდ. №75089/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №13-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, ა. დალაქიშვილი, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „შალტონ, ინკ.“ (Shulton, Inc.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №13-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 დეკემბრის „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ №1586/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „MANTASTIC“ (საიდ. №75089/03) დარეგისტრირება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-3 კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 დეკემბრის №1586/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „MANTASTIC“ რეგისტრაციას არ ექვემდებარება, ვინაიდან

იგი მსგავსია კომპანიის „WM BEAUTYSYSTEMS AG & Co. KG“ (მისამართი: Carl-Friedrich-Gauß-Str. 11, 50259 Pulheim DE) სახელზე მე-3 კლასის მსგავსი საქონლისათვის საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა "TANTASTIC" (რეგისტრაციის თარიღი: 2007-12-04, IR 949471). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაპირისპირებულ ნიშნებს აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ერთ ასოშია, რაც ვერ უზრუნველყოფს ნიშნებს შორის განმასხვავებლობას და ჩნდება მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „მალტონ, ინკ.“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული და განცხადებული ნიშნების მსგავსების მიუხედავად, მათ შორის არსებობს იმ დონის განსხვავება, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების ერთმანეთში აღრევა მომხმარებლის მიერ. ნიშნები განსხვავებულია ფონეტიკურად, რადგან წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ წარმოითქმის, როგორც: „მან-ტას-ტიკ“ ხოლო დაპირისპირებული, როგორც - „ტან-ტას-ტიკ“. აპელანტის პოზიციით, ფონეტიკური თვალსაზრისით სასაქონლო ნიშნები განსხვავებულად წარმოითქმის. განსხვავებულია პირველი მარცვლები “მან” და “ტან”. პირველი ასოებისა და პირველი მარცვლის განსხვავება კი გადამწყვეტია სასაქონლო ნიშნის განმასხვავებლობის შეფასებისას. შესაბამისად, ნიშნების აღრევისა და მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა, მათ შორის ასოცირების

შედეგადაც, დაბალია. განსხვავებულია სასაქონლო ნიშნები ვიზუალური თვალსაზრისითაც. განცხადებული სასაქონლო ნიშანი ჩაწერილია ასომთავრული ლათინური შრიფტით - „MANTASTIC“. დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანიც სტანდარტული ასომთავრული შრიფტით არის შესრულებული „TANTASTIC“. ნიშნების ვიზუალურ განსხვავებას ხაზს უსვამს პირველი ასოების განსხვავება, რომლებიც საკამოდ დასამახსვრებელია და ამცირებს აღრევის შესაძლებლობას. აპელანტის განმარტებით, შეუძლებელია მოხდეს განცხადებული სასაქონლო ნიშნის „MANTASTIC“ მომხმარებელთა მიერ ასოცირება ნიშანთან „TANTASTIC“, ან მათი მწარმოებლების აღრევა. განცხადებულ სასაქონლო ნიშანს სემანტიკური მნიშვნელობა აქვს და ის ქართულად ნიშნავს “მამაკაცურს”, “საუკეთესო მამაკაცს”. შესაბამისად, სიტყვა მიანიშნებს, რომ პროდუქცია საუკეთესოა მამაკაცისათვის. მაშინ, როდესაც სიტყვას „TANTASTIC“ არ აქვს მნიშვნელობა ქართულ ენაში. ის წარმოადგენს სიტყვების „TAN“ და „FANTASTIC“ შერწყმულ კომბინაციას, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ამ პროდუქტით საუკეთესო რუჯის მიღება შეიძლება. აპელანტის მითითებით, დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სასაქონლო ნიშნების მსგავსება განსხვავების განსაზღვრისას სასაქონლო ნიშნის სემანტიკური მნიშვნელობა ფაქტიურად გამორიცხავს მის აღრევას ფანტაზიური სახის სიტყვიერ სასაქონლო ნიშანთან. უფრო მეტიც, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობა პირდაპირ ასოცირდება განცხადებულ საქონელთან. ერთ შემთხვევაში ეს არის ჰიგიენის საშუალებები მამაკაცებისათვის და მეორე შემთხვევაში გასარუჯი და ტანის მოვლის საშუალებები. აპელანტის აზრით, ეს გარემოება არის უმნიშვნელოვანესი სასაქონლო ნიშნების განსაზღვრისას ამ შემთხვევაში და ის გამორიცხავს სასაქონლო ნიშნების აღრევას, მათ შორის ასოცირების შედეგად. აპელანტის პოზიციით, მიუხედავად ერთიდაიგივე მე-3 კლასისა, საქონელი საკმაოდ განსხვავებულია და შესაძლებელია მისი გამოჯვანა ისე, რომ არ მოხდეს მომხმარებლის მიერ აღრევა და მათი შეცდომაში შეყვანა. მე-3 კლასის საქონელი, რომლისთვისაც დაცულია დაპირისპირებული სასაქონლო

ნიშანი მომხმარებელთა შედარებით ვიწრო წრეს განეკუთვნება, ეს არის ხელოვნურად გასარუჯი საშუალებები და მზის აბაზანების დროს გამოსაყენებელი ტანის კრემები. რაც შეეხება აპელანტის ჩამონათვალს ის მოიცავს შემდეგ საქონელს: „ანტიპერსპირანტები და დეოდორანტები; საპარსი პრეპარატები საპარსი კრემების, საპარსი ლოსიონებისა და საპარსი გელების ჩათვლით; გაპარსვის შემდეგ გამოსაყენებელი პრეპარატები; პარფიუმერია; არომატული ნივთიერებები; სხეულისათვის სპრეი; საპნები; ხელის, სახის და სხეულის დასაბანი საშუალებები და პირადი გამოყენებისათვის განკუთვნილი სხვა გამწმენდი პროდუქტები; კანის, თავის კანის და თმის გაწმენდის, მოვლის, დამუშავებისა და გალამაზებისათვის განკუთვნილი პრეპარატები“. აპელანტის განმარტებით, საქონელი, რომლისთვისაც მოითხოვება რეგისტრაცია განცხადებული სასაქონლო ნიშნისა, არ მოიცავს საქონელს რომლისთვისაც საქართველოში დაცულია დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 დეკემბრის „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ №1586/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „MANTASTIC“ (საიდ. №75089/03) დარეგისტრირებას საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „MANTASTIC“ (საიდ. №75089/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „TANTASTIC“ (IR 949471) აღრევამდე მსგავსია, როგორც ვიზუალურად ისე ფონეტიკურად. როგორც განცხადებული, ისე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები სიტყვიერია და შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით. ორივე ნიშანი შედგება 9 ასოსაგან. განცხადებული სასაქონლო ნიშანი შეიცავს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის 8 ასოს იგივე განლაგებით, რა განლაგებითაც ისინი წამოდგენილია დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანში. ნიშნებში განსხვავებული მხოლოდ საწყისი ასოებია: „M“ – „T“, რაც ვერ სძენს ნიშნებს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების აღრევა და მოხმარების შეცდომაში შეყვანა.

ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „მან-ტას-ტიკ“ და „ტან-ტას-ტიკ“. ორივე ნიშანი სამმარცვლიანია. იდენტურად ჟღეს ნიშნების მეორე და მესამე მარცვლები.

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების სემანტიკურ განსხვავებაზე და მიაჩნია, რომ ორივე ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ აღიქმება ფანტაზიურ ნიშნად.

კოლეგია ასევე, ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას ნიშნების მე-3 კლასის საქონლის განსხვავებაზე და მიაჩნია, რომ განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მე-3 კლასის საქონლის ჩამონათვალი მსგავსია, ვინაიდან განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება მე-3 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ანტიპერსპირანტები და დეოდორანტები; საპარსი პრეპარატები საპარსი კრემების, საპარსი ლოსიონებისა და საპარსი გელების ჩათვლით; გაპარსვის შემდეგ გამოსაყენებელი პრეპარატები; პარფიუმერია; არომატული ნივთიერებები; სხეულისათვის სპრეი; საპნები; ხელის, სახის და სხეულის დასაბანი საშუალებები და პირადი გამოყენებისათვის განკუთვნილი სხვა გამწმენდი პროდუქტები; კანის, თავის კანის და თმის

გაწმენდის, მოვლის, დამუშავებისა და გალამაზებისათვის განკუთვნილი პრეპარატები“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-3 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „სხეულისა და გალამაზებისათვის განკუთვნილი პრეპარატები, განსაკუთრებით მზისა და რუჯის მისაღები კრემები და ლოსიონები, ტანისა და გალამაზებისათვის განკუთვნილი ზეთები“ (Body and beauty care preparations, especially sun and tanning creams and lotions; oils for body and beauty care). ორივე ნიშნით მონიშნული საქონელი მსგავსია თავისი დანიშნულებითა და ბუნებით, ვინაიდან განკუთვნილია სხეულის მოვლისა და გალამაზებისათვის. აღნიშნული ზრდის სასაქონლო ნიშნების აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის „MANTASTIC“ (საიდ. №75089/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

#### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „შალტონ, ინკ.“ (Shulton, Inc.) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული

აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 დეკემბრის „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ №1586/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

მ. ფრუიძე

წევრები:

ი. გიქორაშვილი

ა. დალაქიშვილი